საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გედეონ II

გედეონ II გენათელი (ჩხეიძე), გელათის ეპისკოპოსი მიტროპოლიტის წოდებით 1717–33, პაპუნა II რაჭის ერისთავის ძე. გ. II მონაწილეობდა შინაფეოდ. ომებში: გამოდიოდა იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის წინააღმდეგ და მხარს უჭერდა თავის ძმას შოშიტა III-ს, რაჭის ერისთავს. დაახლ. 1733 ალექსანდრე V-მ თავის მხარეზე გადაიბირა. გ. II-მ თავი დაანება მღვდელმთავრობას, მეფისაგან წყალობად მიიღო ბარში საერისთავო მამული და ამის შემდეგ ბარის ერისთავად იწოდებოდა.

წყარო: დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წგ. 1, ს. კაკაბაძის *გამოც.*, თბ., 1921; ვახუშტი, საქართველოს ისტორია, წგ.: ქართლის ცხოვრება, ნაწ. 2, დ. ჩუბინაშვილის *გამოც.*, სპბ., 1854.

ბ. ლომინაძე